საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 222/ს
25/05/2023

222-21-4-202305251033

ქ. წყალტუბოში შპს „ჰერბიას“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჰერბიას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. წყალტუბოში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

2023 წლის 5 მაისს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ჰერბიას“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №077495 ოქმი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, შპს „ჰერბიას“ სასათბურე მეურნეობა მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, თამარ მეფის ქუჩის გაგრძელებაზე, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 102 836 $м^2$ ფართობის მქონე, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 29.08.36.018 და 29.08.36.110). აღნიშნულ სასათბურე მეურნეობაში კომპანია ახორციელებს სხვადასხვა კულტურების (ბოსტნეული, ბაღჩეული, ძირხვენები და ტუბერები) მოყვანას. სასათბურე მეურნეობის მორწყვის მიზნით ტერიტორიაზე მოწყობილია წვეთოვანი სარწყავი სისტემა. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 80 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, უსახელო ღელე, მიედინება მიწის ნაკვეთის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 63 მეტრში. ობიექტი უზრუნველყოფილია ელ. ენერგიით და შემოსაზღვრულია მავთულბადით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასათბურე მეურნეობაში დათესილი კულტურების მოსარწყავად წყალაღება ხდება საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე უსახელო ღელედან. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-300993, Y-4686737. წყალაღების წერტილიდან წყალი თვითდინებით შედის ხელოვნურად მოწყობილ 110 მ სიგრძის არხში (პარამეტრები: სიღრმე 30 სმ, სიგანე 60 სმ),

რომელიც უკავშირდება სასათბურე მეურნეობასთან მოწყობილ მიწისქვეშა ბეტონის ორ რეზერვუარს (თითოეული 250 ტონა). წყალშემკრები რეზერვუარები გადახურულია რკინის ცხაურით და მათი წყლით შევსება ასევე ხდება წვიმების დროს, წვიმის წყლით. რეზერვუარების შევსება რეგულირდება წყალაღების წერტილში მოწყობილი დამკეტი რაბით. უსახელო ღელედან აღებული წყალი, ბეტონის რეზერვუარებში მოთავსებული ორი ერთეული ტუმბოსა (თითოეული 1.5 მ^3/სთ) და 100 მმ დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილების მეშვეობით გადადის სასათბურე მეურნეობაში მოწყობილ გამანაწილებელ მილსადენებში (დიამეტრი: 30-40 მმ, 12-25 მმ). გამანაწილებელი მილსადენებიდან წყალი მიეწოდება წვეთოვან სისტემას (დიამეტრი: 6 მმ-დან 20 მმ-მდე), რომელიც მოწყობილია ნიადაგის ზედაპირზე ნარგავების ძირების გასწვრივ. სარწყავი სისტემა აღჭურვილია საფილტრაციო მოწყობილობებით, რაც უზრუნველყოფს წყლის გაწმენდას ქვიშისა და სხვა მინარევებისგან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სასათბურე მეურნეობის მორწყვა ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში. მოსარწყავად გამოყენებული წყლის მოცულობა წელიწადში შეადგენს 100 000 მ^3-ს. უსახელო ღელე სათავეს იღებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გვიშტიბის ტერიტორიაზე, ჭარბტენიანი ადგილიდან და მისი სიგრძე შეადგენს 3 კმ–ს. უსახელო ღელე იკვებება თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით. დოკუმენტის თანახმად, მოცემული რაოდენობით უსახელო ღელედან წყლის აღებით, ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სამელიორაციო სისტემა უკვე მოწყობილია და არ საჭიროებს დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირებას, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, იგი არ არის დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ვინაიდან, სარწყავი სისტემა წარმოადგენს არსებულ ობიექტს და არ საჭიროებს დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროა ბეტონის რეზერვუარებში მოთავსებული ორი ტუმბო. აღნიშნული ტუმბოების წარმადობისა (თითოეული 1.5 მ^3/სთ) და უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის (80 მ) გათვალისწინებით, სარწყავი სისტემის ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება წყლის საფილტრაციო მოწყობილობებში მცირე რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნას. აღნიშნული ნარჩენები გამოყენებული იქნება სასათბურე მეურნეობაში ნიადაგის გასანოყიერებლად.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია წლების განმავლობაში გამოიყენებოდა სასოფლო–სამეურნეო დანიშნულებით, განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას და იგი ენდემური ჰაბიტატებისგან თავისუფალი და სახეცვლილია.

ტერიტორია არ წარმოადგენს ხმელეთის ცხოველებისთვის მნიშვნელოვან საბინადრო გარემოს.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, წყალაღების წერტილის მიმდებარედ არ ფიქსირდება სხვა წყალმოსარგებლეები, შესაბამისად, სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. წყალტუბოში შპს „ჰერბიას“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჰერბია“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰერბიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰერბიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო